



საჯარო სამართლის იურიდიული პირის

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება

132-01-4-201512311021



N 01/132-ო
31/12/2015

ქ.თბილისი

შპს „სადაზღვევო კომპანია პარტნიორის“ დაზღვევის (სიცოცხლის) და დაზღვევის (არა სიცოცხლის) ლიცენზიების გაუქმების და მის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების თაობაზე

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 27¹ მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 33⁴ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-7 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის N126/01 ბრძანებით დამტკიცებული „მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის“ თანახმად

ვბრძანებ:

1. შპს „სადაზღვევო კომპანია პარტნიორის“ (ს/კ 205224675) გაუქმდეს დაზღვევის (სიცოცხლის) და დაზღვევის (არა სიცოცხლის) ლიცენზიები.
2. დაიწყოს შპს „სადაზღვევო კომპანია პარტნიორის“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის N126/01 ბრძანებით დამტკიცებული „მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის“ და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. შპს „სადაზღვევო კომპანია პარტნიორში“ გაკოტრების მმართველად დაინიშნოს კახაბერ ვარადაშვილი (პირადი ნომერი: 01014000880), რომელიც ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის №126/01 ბრძანებით დამტკიცებული „მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის“ შესაბამისად.
4. ამ ბრძანების მიღებიდან 10 დღის ვადაში ინფორმაცია ლიცენზიის გაუქმების შესახებ გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“. გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების და გაკოტრების მმართველის დანიშვნის შესახებ ინფორმაცია ეცნობოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
5. აღნიშნული ბრძანების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

იოსებ გოგოლაშვილი



სამსახურის უფროსი